ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7292297

ნომერი: AR11063824

თარიღი : 30.10.2024

გაცემის თარიღი : 20.11.2024

გაცნობის თარიღი : 20.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა, N 19ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 30 ოქტომბრის №AR11063824 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 11

ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებით №72.16.21.436 (დღევანდელი მდგომარეობით: №01.72.16.097.079) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი A-1-ის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 11 ოქტომბრიდან 2025 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებელი ამჯერად ითხოვს სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, ვინაიდან შეიცვალა მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი (ფართობის და კონფიგურაციის ცვლილების გარეშე), ითხოვს აღნიშნული ცვლილების სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში ასახვას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის: №892024630114, მომზადების თარიღი: 22/10/2024 წ.) თანახმად, მოხდა №72.16.21.436 (ფართობი: 9442.00 კვ.მ.) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ცვლილება ფართობისა და კონფიგურაციის ცვლილების გარეშე და დღევანდელი მდგომარეობით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდს წარმოადგენს: №01.72.16.097.079 (ფართობი: 9442.00 კვ.მ.).
ზემოაღნიშნული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, №01.72.16.097.079 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჯეი4“ (ს/ნ: 405067519). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24107745; მომზადების თარიღი: 02/09/2024 წ.) შპს „ჯეი4“-ის (ს/ნ: 405067519) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დავით საგანელიძე (პ/ნ: 01024006858).
სამსახურში 2024 წლის 04 ნოემბრის №AR11063816 განცხადებით წარმოდგენილია შპს „ჯეი4“-ის (ს/ნ: 405067519) დირექტორის დავით საგანელიძის (პ/ნ: 01024006858) მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
სამსახურმა დოკუმენტაციის (მათ შორის საჯარო რეესტრის მონაცემების) გადამოწმების, შედეგად დაადგინა, რომ ვინაიდან მოხდა მხოლოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ცვლილება (ფართობისა და კონფიგურაციის ცვლილების გარეშე), შესაძლებელია 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და №72.16.21.436 (ფართობი: 9442.00 კვ.მ.) საკადასტრო კოდის ნაცვლად №01.72.16.097.079 (ფართობი: 9442.00 კვ.მ.) საკადასტრო კოდის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებაში და საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №72.16.21.436-ის ნაცვლად დაფიქსირდეს: №01.72.16.097.079.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №7250164 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.